


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი გურამ ქათამაძის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი თემურ დევაძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2021 წლის 19 აპრილის სენატის სხდომის დადაგენილება, ოქმი N09);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სამსახურის მიერ;
6. არსებული პროცედურა ძალას კარგავს ახალი პროცედურის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process**

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის ~ (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
2021 წლის 19 აპრილის სენატის სხდომის დადაგენილება, ოქმი N09; 2021 წლის 19 აპრილის ცირკულარული წერილი N5	19.04.2021	განმარტებებში ჩაემატა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, დიპლომის დანართი, კვალიფიკაცია, კრედიტი, მოდული, რეგულირებადი პროფესია, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ჩაემატა მოდულის არ/ვერ დადასტურების შემთხვევაში დაწესებულება უფლებას იტოვებს სტუდენტს შეჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და წერილობით აცნობოს მას. განისაზღვრა სწავლის შედეგების შენახვის აუცილებლობის ვადა და წესები	ლია ფარტენაძე მაია დავითიანი გიორგი დიასამიძე




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....	5
4. ზოგადი დებულებები	8
5. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული მოდულური პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები.....	8
6. პროფესიული მოდულური პროგრამის შემუშავება და წარმართვა.....	9
7. მოდულის შემუშავების წესი.....	10
8. შპს ბუსსს ანრიში პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება, პირობები აპლიკანტების შიდა შერჩევის წესი	10
9. სტუდენტის სტატუსის მოპოვება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე.....	13
10. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.....	13
11. სასწავლო პროცესის ფორმა.....	14
12. ბუსსს ანრიში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები.....	14
13. პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა.....	14
14. შპს ბუსსს ანრიში სხვა სასწავლებლიდან სტუდენტთა მობილობის წესით გადმოსვლა და რეგისტრაცია	16
15. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.....	18
16. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებების სისტემის განსაზღვრა და კრედიტის მინიჭება	18
17. კვალიფიკაციის მინიჭების წესი და დიპლომის გაცემა.....	20
18. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგის მიღების წესი.....	20
19. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.....	21
20. პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების შერჩვისა და დასაბუთების მეთოდოლოგია.....	22
21. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უზრუნველყოფისა და გახარჯული მასალების აღრიცხვის მექანიზმი.....	23
22. რესურსები.....	23
23. კონფიდენციალურობა	23
დანართი 1 ხელშეკრულების ნიმუში	24
დანართი 2 შეფასების კითხვარის ნიმუში.....	29
დანართი 3 პროფესიული ლექტორის დასასწავლო კურსის შეფასების კითხვარი	31
დანართი 4 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციის შეფასების კითხვარი	33
24. პროცედურის პერიოდული შემოწმების ფურცელი	35
25. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი	36
26. შეთანხმების ფურცელი	37



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება ადგენს შპს ბუსსს ანრიში სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რომელიც მოიცავს პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 2) წინამდებარე დებულება წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს შპს ბუსსს ანრის სასწავლო პროფესიული პროცესის განმახორციელებელი პერსონალისთვის;
- 3) წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსიები), ხოლო ელექტრონული ვერსია განთავსებულია შიდა ქსელში და სასწავლებლის ვებგვერდზე;
- 4) პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარების დაგზავნას ახდენს შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე პროცედურა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:


- 1) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- 2) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ
- 3) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე
- 4) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანება „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“
- 5) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N 98/ნ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებითა და დამატებებით
- 6) ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 7) ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 8) ნდ 2-020101 ხარისხის სახელმძღვანელო;
- 9) ნდ 2-0201-01 დოკუმენტების და მონაცემების მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ პროცედურაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) **ავტორიზაცია** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- 2) **დიპლომი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 3) **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;
- 4) **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

- 5) **ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს;
- 6) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;
- 7) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად; ერთი კრედიტი (ECTS) – უტოლდება 25 საათს.
- 8) **მოზილობა** – პროფესიული სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება;
- 9) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;
- 10) **ნორმატიული დოკუმენტი** – შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
- 11) **პერიოდული შემოწმება** – არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- 12) **პროცედურა** – საქმიანობის ან პროცესის შესრულება დადგენილი მეთოდი (ხერხი). პროცედურა შეიძლება ეწოდოს როგორც პროცესს (პროცესების ერთობლიობას), ასევე დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პროცესის განხორციელების სწორი გზა;
- 13) **რეგულირებადი პროფესია** – საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობაა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა ან/და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან/და პერიოდული პროფესიული გადამზადება;
- 14) **რესურსი** – ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია)
- 15) **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 16) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- 17) **პროფესიული მასწავლებელი** – პირი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ მოდულურ პროგრამებს
- 18) **პროფესიული სტუდენტის დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
- 19) **სწავლება-სწავლის ფორმატი** – დასწრებული სწავლება.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

- 20) **სწავლება-სწავლის მეთოდი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ პროფესიული სტუდენტისათვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვა, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევისათვის საკონტაქტო და დამოუკიდებელ დროს გაწეული საქმიანობა. სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.).
- 21) **სასწავლო კვირა** - არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
- 22) **სენატი (შპს ბუსსს ანრის სენატი)** - სასწავლებლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 23) **სწავლის შედეგები** - საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;
- 24) **კვალიფიკაციათა ჩარჩო** - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი და პროფესიული განათლების ყველა კვალიფიკაცია;
- 25) **პროფესიული სწავლება (განათლება)** - მე-III დონის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად სწავლება (განათლების მიღება)
- 26) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;
- 27) **პროფესიული განათლების სტუდენტის კანდიდატი**-პირი, რომელსაც აქვს ზოგადი სრული საშუალო ან საბაზო განათლება და წარდგენილი აქვს სასწავლებელში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაცია.
- 28) **ხარისხის უზრუნველყოფა** - შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- 29) **შეფასების კომპონენტები** - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა).
- 30) **შეფასების კრიტერიუმი** - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების მეთოდი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.);
- 31) **შეფასების ფორმები** - შეფასების ფორმებია განმავითარებელი შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება,

3.2. შემოკლებები

- 1) **შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) **მფ** - მოქმედი ფორმა
- 3) **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


- 4) ხარისხის სამსახური - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
- 5) ხმს - ხარისხის მართვის სისტემა
- 6) დეპარტამენტი - პროფესიული განათლების დეპარტამენტი
- 7) სტუდენტი - პროფესიული სტუდენტი, პირი, რომელიც პროფესიული განათლების შესახებ კანონითა და საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- 8) ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა;
- 9) IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.
- 10) STCW - საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ, ცვლილებებით

4. ზოგადი დებულებები

- 1) წინამდებარე პროცედურა ადგენს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში შპს ბუსსს ანრი ან სასწავლებელი) სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროფესიული სტუდენტის (შემდგომში სტუდენტი) ჩარიცხვის პირობებს, აგრეთვე სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას; პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე შპს ბუსსს ანრის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული ტესტირების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ (ცვლილებები და დამატებები 2017 წლის 23 მარტი №58/ნ) ბრძანებისა და არსებული პროცედურით განსაზღვრული წესების საფუძველზე;
- 2) სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს;
- 3) შპს ბუსსს ანრი ახორციელებს მესამე დონის პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 4) შპს ბუსსს ანრიში ჩარიცხული სტუდენტისთვის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების საანგარიშო ვადა (სწავლის ფაქტობრივი დრო), აგრეთვე სასწავლო კვირების რაოდენობა მოცემულია შესაბამისი მოდულური პროგრამის სასწავლო გეგმაში;
- 5) პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება მესამე დონის პროფესიული კვალიფიკაცია და მიეცემა პროფესიული დიპლომი;
- 6) სწავლება წარმართება მეცადინეობის ისეთი ფორმების საშუალებით, როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო და საცურაო პრაქტიკები (შესაბამის საამქროებში, ლაბორატორიებსა და სასწავლო-საცურაო გემებზე);
- 7) თითოეული მოდული, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითვალისწინებდეს სწავლების ზემოჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ფორმას. საწარმოო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.

5. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული მოდულური პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები

- 1) შპს ბუსსს ანრიში სწავლა იწყება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე;
- 2) პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს: დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამული მიმართულებები;
- 3) პროფესიული განათლების დეპარტამენტი და ხარისხის სამსახური ვალდებულია აწარმოონ სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მუდმივი მონიტორინგი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

- 4) ხარისხის სამსახური შეიმუშავებს, განავითარებს და განაახლებს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული მასწავლებლის კითხვარებს - **იხ.დანართი 2, 3, 4**);
- 5) სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ხარისხის სამსახურის და სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეუძლიათ პერიოდულად დაესწრონ მიმდინარე ლექციებს.
- 6) ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგების ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროფესიული განათლების დეპარტამენტი ხარისხის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- 7) პროფესიული მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი (პროფესიული მასწავლებელი - შემდგომში პედაგოგი/ლექტორი) ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განხორციელოს სასწავლო პროგრამებში და შესაბამის მოდულებში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად.

6. პროფესიული მოდულური პროგრამის შემუშავება და წარმართვა

- 1) შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული მოდულური პროგრამა (შემდგომში მოდულური პროგრამა) შეიმუშავდება და ხორციელდება საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010წ №99/ნ (ცვლილებები და დამატებები 2017 წლის 5 მაისი №77/ნ) ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად და ამ დებულებით გათვალისწინებული წესით;
- 2) მოდულური პროგრამის შექმნის (დამატების) თაობაზე გადაწყვეტილებას, დეპარტამენტის წარდგინებით დებულობს ბუხსს ანრის სენატი და ამტკიცებს ბუხსს ანრის რექტორი;
- 3) მოდულური პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის ბუხსს ანრის აკადემიური თანამდებობის პირი ან მოწვეული სპეციალისტი.
- 4) მოდულური პროგრამის ხელმძღვანელი უზურუნველყოფს ამ პროგრამის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებას, პროგრამის დაკომპლექტებას შესაბამისი პროფესორ - მასწავლებლებით პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, მოდულების მომზადების ორგანიზებას, პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ ანგარიშის შპს ბუხსს ანრის სენატის წინაშე წარდგენას.
- 5) მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულს: ზოგადი სავალდებულო მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები. სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულების შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
- 6) სასწავლებლის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განაგრძოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზურუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომელიც მნიშვნელოვანია შემდგომი პროფესიული განვითარებისა დასაქმებისათვის.
- 7) არჩევითი მოდული ლოგიკურად უნდა იყოს ბმავი პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული; თუკი მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის სამუშაო გეგმის ფარგლებში აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი და მიღებული იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.
- 8) ჩარჩო პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოური (ინგლისური) ენის, მაშინ ზოგად სავალდებულო უცხო ენაც იგივე უნდა იყოს; სასწავლებელი უფლებამოსილია არჩევით მოდულებში გაითვალისწინოს უცხოური ენის ან ენების სწავლებაც.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


- 9) პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა; იგი უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ; დაცული უნდა იყოს მოდულზე დაშვების წინაპირობები რომელშიც სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).
- 10) თუკი მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. ასეთ სასწავლო კვირაში, სადაც სრულდება მოდულ(ებ)ი, დასაშვებია სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ქართული ენა „A2“ მოდულის სწავლება სრულდება 30 საათზე ნაკლები კვირეული დატვირთვით.
- 11) პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამით მოდულს წარმართავს პროფესიული განათლების მასწავლებელი. იგი უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს მოდულური პროგრამისა და მოდულების შემუშავებაში.
- 12) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.
- 13) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

7. მოდულის შემუშავების წესი

- 1) მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად პროგრამის დანართია, იგი მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა აქტი, რომ შეიცვალოს პროგრამის შესაბამისი დანართი.
- 2) მოდული შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მესამე (დამხმარე ჩანაწერები) ნაწილი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და მათში დასაშვებია ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები და არა მიმართულებები.
- 3) საათების განაწილების სქემა: სასწავლებლის მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიური ცენტრის მიერ დამტკიცებული განაწილების, ან შეიძლება ისე გადათამაშდეს სწავლის შედეგებს შორის, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში მითითებულ საათების რაოდენობას. საათების განაწილების ცვლილება დასაშვებია როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს, ასევე სწავლის შედეგებს შორის, თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
- 4) მოდულის განხორციელების ადგილი: მიეთითება ის ადგილი, სადაც ხორციელდება მოდული: მისამართი, აუდიტორია და სხვა.
- 5) სასწავლო რესურსი: მიეთითება ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილი რეკომენდირებული წყაროები, ან სასწავლებელმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცულ ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდი და რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისათვის.
- 6) რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტების სასწავლებლისათვის - უცვლელი რჩება.

8. შპს ბუსსს ანრიში პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება, პირობები, აპლიკანტების შიდა შერჩევის წესი

- 1) შპს ბუსსს ანრიში შეიძლება ჩარიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს მინიმუმ ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

2) მე-III დონეზე პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგი წესის შესაბამისად:

- პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების („პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანება, ცვლილებებით) შესაბამისად კონკურსის/შიდა შეჩვევის (გასაუბრების) შედეგების საფუძველზე;
- პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება შპს ბუსსს ანრის რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც ადგენს არსებული პროცედურით განსაზღვრული დოკუმენტების მიღებისა და დასრულების ვადებსა და აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესებულება უფლებამოსილია გადაწყვეტილება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების შესახებ გამოაქვეყნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ამ ვადის დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე;
- პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება დოკუმენტების განხილვისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრისა და პროფესიული განათლების სტუდენტის თითოეულ კანდიდატთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე;
- სასწავლებლის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული მიმღები კომისიის წევრები პირთან გასაუბრებით განსაზღვრავენ ცალკეულ საგანში ან საგნებში (უცხო ენა, კონტინენტების გეოგრაფია, მათემატიკის საწყისები) გამოვლენილი ცოდნის უპირატესობას; უპირატესობა მიენიჭება იმ პირს რომელსაც ექნება ზღვაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება; კომისია თითოეულ პირზე დებულებას გადაწყვეტილებას ჩარიცხოს ან უარი ეთქვას ჩარიცხვაზე.

3) პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სახეები:

სასწავლებელი ახორციელებს მესამე დონის შემდეგ პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს:

- საგებმანე განყოფილების ექსპლუატაცია;
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია

4) აპლიკანტების შიდა შერჩევის წესი

1) რეგულირების სფერო


წინამდებარე წესი არეგულირებს „პროფესიული ტესტირების ჩატარების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №152/ნ-ის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დარეგისტრირებული და შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით დარეგისტრირებული აპლიკანტების შიდა შერჩევის (ტესტირება) ჩარიცხვის წესს და პროცედურას.

2) ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც დარეგისტრირდა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სადაც გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

3) ტესტირების მიზანი

ტესტირების მიზანია კოლეჯმა დაადგინოს აპლიკანტების წინარე ცოდნის, უნარების ან/და გამოცდილების გათვალისწინებით მისი მზაობა არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე სწავლასთან



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

დაკავშირებით, პროგრამის წინაპირობების გადამოწმება, აპლიკანტების მიერ პროგრამაზე სწავლების ენის განსაზღვრა.

4) სწავლების ენის განსაზღვრა

აპლიკანტი, რომელმაც წინმსწრების განათლება მიიღო (რასაც ადასტურებს დოკუმენტურად) არჩეული პროფესიული პროგრამის განხორციელების ენაზე, ჩაირიცხება მის მიერ არჩეულ პროგრამაზე.

აპლიკანტი რომელმაც წინმსწრების განათლება არ მიიღო (რასაც ადასტურებს დოკუმენტურად) არჩეული პროფესიული პროგრამის განხორციელების ენაზე, ჩაირიცხება ქართული ენის (A2/B1) მოდულზე;

5) აპლიკანტის მზაობის განსაზღვრა

კომისია უფლებამოსილია დაუსვას აპლიკანტს პროფორიენტაციის ხასიათის შეკითხვები, შეამოწმოს აპლიკანტის წინარე ცოდნა ან გამოცდილება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროგრამის და პროფესიის გააზრებული არჩევანი, დაადგინოს აპლიკანტის ინფორმირებულობა შემდგომი დასაქმების და კარიერული განვითარების კუთხით.

6) პროფესიული პროგრამის წინაპირობების გადამოწმება

კომისია ვალდებულია მიიღოს აპლიკანტისაგან ამომწურავი ინფორმაცია მის მიერ არჩეული პროფესიული პროგრამის წინაპირობებთან შესაბამისობის თაობაზე

7) ტესტირების პროცედურა

ბუსსს ანრიში ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა ნაკადის მართვის მიზნით მიღება წარმოებს ეტაპობრივად, წინასწარ დადგენილ ვადებში;

თითოეული აპლიკანტისათვის ტესტირების დრო შეადგენს საშუალოდ 60 წუთს;

ტესტირებას ატარებენ რექტორის მიერ დამტკიცებული მიმღები კომისიის წევრები;

კოლეჯი ვალდებულია მიმღები კომისიის წევრებთან ერთად უზრუნველყოს ტესტირებაზე უცხოური (რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, თურქულ და სხვა) ენის კომპეტენციის მქონე წევრების მონაწილეობა;

ტესტი შესდგება 25 ღია ტესტიდაგან. მათ შორის - 15 (ერთეულიანი) ელემენტარული მათემატიკის ტესტისა და 10 (ერთეულიანი) მექანიკური და სივრცული უნარების ტესტისაგან;

სასწავლებლის მიერ დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის დაკმაყოფილებაც არის აპლიკანტის არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველი, წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 25% + 1 (7 ქულა);

ტესტირების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე თითოეული აპლიკანტის შეფასების შედეგების საფუძველზე ავსებს ტესტირების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;

ტესტირების შემაჯამებელ ოქმის საფუძველზე რექტორი გამოსცეს ბრძანებას აპლიკანტთა სატუდენტად ჩარიცხვის შესახებ;

ჩარიცხვის ბრძანება აისახება განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის სტუდენტთა რეესტრში არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

8) ტესტირების შედეგი

აპლიკანტთან ტესტირების და პროგრამის წინაპირობების შესაბამისობის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ, მიმღები კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:


აპლიკანტის მიერ არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა;

აპლიკანტის მიერ არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვაზე უარი;

აპლიკანტის ჩარიცხვა ქართული ენის (A1/A2) მოდულზე;

9) ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს ტესტირებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

ტესტირებაზე არგამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია წინასწარ აცნობოს კოლეჯს გამოუცხადებლობის შესახებ;
აპლიკანტი უფლებამოსილია კოლეჯთან შეთანხმებით მოითხოვოს დამატებითი ტესტირება დადგენილ ვადებში;
აპლიკანტი უფლებამოსილია კოლეჯთან შეთანხმებით (საჭიროების შემთხვევაში) მოითხოვოს დისტანციური ტესტირება დადგენილ ვადებში;
აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს გასაუბრების შედეგები შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-14 მუხლით მე-2 პუნქტით დადგენილი წესით (სტუდენტის/რეგისტრანტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი)


9. სტუდენტის სტატუსის მოპოვება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე

- 1) პროფესიული ტესტირების შედეგებისა და მიმღები კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად შპს ბუსსს ანრის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სტუდენტის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
- 2) პირი სასწავლებელში ჩარიცხულად ითვლება და ენიჭება სტუდენტის სტატუსი რექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ.
- 3) ჩარიცხული პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების შესახებ მონაცემები შპს ბუსსს ანრის აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
- 4) დაუშვებელია სტუდენტის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა რექტორის ბრძანების გარეშე.

10. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება

სტუდენტი ვალდებულია პროფესიული განათლების დეპარტამენტში გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება). სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და სასწავლებლის რექტორს შორის.

- 1) რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გამოიცემა რექტორის მიერ სამართლებრივი აქტი ჩარიცხვაზე, აბიტურიენტთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება ერთიან სტუდენტურ ბაზაში;
- 2) ხელშეკრულება სტუდენტსა და სასწავლებელს შორის იდება ერთხელ და ის მოქმედებს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში;
- 3) სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება მოიცავს:
 - ა) ხელშეკრულების მხარეებს (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში სავალდებულოა კანონიერი მშობლის, ან მეურვის დასტური);
 - ბ) მხარეთა რეკვიზიტებს;
 - გ) პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და დონე;
 - დ) სწავლის საფასურს;
 - ე) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
 - ვ) მხარეთა ხელმოწერას.
- 4) ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება დეპარტამენტში სტუდენტის პირად საქმეში. ხელშეკრულების ასლი გადაეცემა სასწავლებლის საფინანსო განყოფილებას. სტუდენტმა სწავლების საფასური უნდა გადაიხადოს საფინანსო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში. დასაშვებია სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის ინდივიდუალური, მოქნილი გრაფიკის დაწესება.

- 5) სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა სწავლის განმავლობაში დაუშვებელია.
- 6) სასწავლებელს უფლება აქვს წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუზღუდოს შეფასებების შეტანა საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისში თუ იგი არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

11. სასწავლო პროცესის ფორმა

სწავლება წარიმართება საგანმანათლებლო მოდულური პროგრამით განსაზღვრული მეცადინეობის ისეთი ფორმებით რომლებიც მითითებულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულში

- ✓ ლექცია;
- ✓ პრაქტიკულ მეცადინეობა;
- ✓ ლაბორატორიული სამუშაო;
- ✓ დამოუკიდებელი მუშაობა;
- ✓ სასწავლო /საწარმოო და საცურაო პრაქტიკები;
- ✓ სწავლის შედეგების დადასტურება მოდულების მიხედვით.

12. შპს ბუსსს ანრიში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები


პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა შპს ბუსსს ანრიში უნდა წარადგინოს:

- 1) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება;
- 2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 3) სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე;
- 4) სამედიცინო ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საქართველოს საზღვაო სამედიცინო ცენტრში;
- 5) ცნობა ფსიქოლოგიური დისპანსერიდან;
- 6) ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან;
- 7) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხმო მოწმობა;
- 8) 4 ფოტოსურათი 3x4-ზე;
- 9) არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, შპს ბუსსს ანრის უფლება აქვს, პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, დამატებით დაუწესოს და მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები.

13. პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა

- 1) პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის საკითხი წყდება იმის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელია სტუდენტის მიერ არჩეულ მიმართულებაზე შემდგომში სწავლის გაგრძელება, რაც ცნობილი უნდა იყოს განმცხადებლისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება:

- პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასწავლებელს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) ავადმყოფობა;
 - გ) უცხო ქვეყანაში სწავლა;
 - დ) სტუდენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
 - ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - ვ) ფინანსური დავალიანება (ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში);
 - ზ) პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლებელთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
 - თ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობის შესაბამისად. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სასწავლებლის რაოდენობის ფარგლებში.


2) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

- ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ განიხილება საკითხი სტატუსის აღდგენის თაობაზე, რომელიც გაფორმდება რექტორის ბრძანებით სტატუსის აღდგენის ან შეწყვეტის თაობაზე და მონაცემთა ბაზაში დაფიქსირდება შესაბამისი ცვლილება;
- ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია იმ გარემოების აღმოფხვრის შემთხვევაში, რისთვისაც სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი, მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- დ) სტატუსაღდგენილ სტუდენტს ჩაეთვლება უკვე დადასტურებული მოდულები და გაივლის იმ მოდულებს, რომელიც არ აქვს დადასტურებული.

3) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება პირის განცხადების, ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობას, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით და შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება, ხოლო სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი სწავლის ღირებულების თანხა მას არ უბრუნდება.

14. შპს ბუსსს ანრიში სხვა სასწავლებლიდან სტუდენტთა მობილობის წესით გადმოსვლა და რეგისტრაცია

1) პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

სასწავლებლის რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ადგილების თავისუფალი რაოდენობის ფარგლებში, ადგენს პროფესიული პროგრამების თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მობილობით სტუდენტების მიღებისათვის გათვალისწინებულ ადგილებს

- მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ამა თუ იმ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია რექტორის მიერ დადგენილ ვადაში შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარმოუდგინოს მას სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. განცხადების ფორმა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა მეტი აღმოჩნდება ამ პროგრამაზე რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრავს ამ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კონკურსის ჩატარების თარიღს;
- ✓ კონკურსი ტარდება გასაუბრების სახით. მასში მონაწილეობას იღებს ყველა პირი, რომელიც სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადაში დარეგისტრირდა შესაბამის მოდულურ პროგრამაზე მობილობის მსურველად. საკონკურსო საკითხების ნუსხას შეიმუშავებს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი და იგი ვალდებულია უზრუნველყოს საკონკურსო მასალების კონფიდენციალობა;
- ✓ რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარება და გასაუბრების პროცესი;
- ✓ კონკურსის შედეგად შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მიიღებს უმაღლესი შეფასების მქონე პირთა ის ოდენობა, რომელიც შეესაბამება ამ პროგრამაზე რეგისტრირებული მისაღები ადგილების რაოდენობას. მობილობის მსურველი, რომელიც არ მიიღებს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას, კარგავს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას;
- ✓ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველმა სასწავლებელში სხვა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სასწავლო ბარათის ბეჭდით დამოწმებული ასლი;
- ✓ პროფესიული განათლების დეპარტამენტი ადგენს სტუდენტის მიერ გავლილი საგნების შესაბამისობას არსებულ სასწავლო პროგრამასთან, ახდენს შესაბამისი კრედიტების აღიარებას. სტუდენტისათვის შეთავაზებული პირობები წინასწარ ეცნობება კონკურსანტს;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს ამ პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ აქვს მოდულები დადასტურებული შესაბამისი სამსახური ადგენს მობილობის მსურველი სტუდენტის შესაბამისობას სასწავლებელში მოქმედ პროგრამასთან, აცნობს მას



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

ასათვისებელი მოდულების ნუსხას, რის შემდეგაც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს სტუდენტის სასწავლებელში ჩარიცხვის თაობაზე;

- ✓ მობილობის ფარგლებში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი სტუდენტი მობილობის ვადებში განცხადებით მიმართავს რექტორს შესაბამისი საბუთების ასლის მოთხოვნით, როგორც სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი;
- ✓ მობილობის მსურველი მოიპოვებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია სასწავლებელს წარუდგინოს მისი პირადი საქმე:
 - 1) ცნობა ათვისებული მოდულების შესახებ (დამოწმებული გამომწვები დაწესებულების ბეჭდით);
 - 2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 3) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა;
 - 4) განცხადება;
 - 5) სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 6) ჩასარიცხად საჭიროა სამედიცინო ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში
 - 7) ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საქართველოს
 - 8) საზღვაო სამედიცინო ცენტრში.
 - 9) ფოტოსურათი 3X4-ზე.

2) შიდა მობილობა:

ცალკეულ სპეციალობაზე შიდა მობილობის საკითხი წყდება თეორიული მომზადების საფუძველზე სასწავლო-საწარმოო პრაქტიკაზე გატარების უპირატესი უფლების აღიარებით.


3) მობილობის უფლების შეზღუდვა:

შიდა მობილობა პროფესიულ მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხვიდან ერთი თვის შემდეგ;

ზღვაში ვარგისიანობის შესახებ ჯანმრთელობის ცნობაში ასახული უარყოფითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4) მობილობისათვის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

- ✓ სასწავლებელი ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს ასათვისებელ მოდულებს;
- ✓ პროგრამის აღიარება ხორციელდება კონკურსის შედეგების და სასწავლებელში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ. პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის პირადი საქმის შესწავლით, ან სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებით;
- ✓ მობილობის დროს სასწავლებელი ახდენს მობილობის მსურველის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება შესაბამისი სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლებლის პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან;
- ✓ აღიარებას ექვემდებარება პროფესიული დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში ათვისებული მოდულები, რომელზეც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განხორციელდა ჩარიცხვა და სწავლება;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


- ✓ დადასტურებული მოდულების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მის მიერ ათვისებული მოდულების თაობაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გავლილი სასწავლო დისციპლინების მოდულები;
- ✓ სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ექვივალენტობა სტუდენტის მიერ გავლილი დისციპლინისა და სასწავლებლის საგანმანათლებლო მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას შორის. პირის მიერ გავლილი საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნას როგორც არჩევითი სასწავლო მოდულები.

15. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

- 1) საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაძლებელია რომელიმე მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება. ასეთ შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მიღწევად რეჟიმში და შემდეგ მოახდინოს მისი შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით;
- 2) თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროფესია, სასწავლებელი ახდენს მის შეთავაზებას განსხვავებული დისციპლინების სწავლის საფასურისგან გათავისუფლების პირობით;
- 3) იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული გარემოებები არ არსებობს, დაწესებულება იღებს ვალდებულებას მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწვდის პროფესიულ სტუდენტს დეტალურ ინფორმაციას და დაეხმაროს მობილობის პროცესის განხორციელებაში.

16. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის განსაზღვრა და კრედიტის მინიჭება

- 1) კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას და პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგი, იგი ვალდებულია 1 სასწავლო კვირის განმავლობაში განმავლობაში დაადასტუროს მოცემული მოდულის სწავლის შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო მოდულზე არ დაიშვება.

მოდულის დასკვნითი შედეგების დადასტურებს აისახება საბოლოო უწყისში.

საზღვაო სასწავლებელი პროფესიული სტუდენტის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამით მოდულის არ/ვერ დადასტურების შემთხვევაში უფლებას იტოვებს შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და წერილობით აცნობოს მას.


პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს დაუდასტურებელი მოდული/მოდულები და გადაიხადოს მოდულის საფასური კრედიტების გაანგარიშების წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგები- შეფასების ინსტრუმენტები ინახება მინიმუმ სამი წელი. თითოეულ პროფესიულ სტუდენტს უნდა გააჩნდეს პორტფოლიო. სადაც შეინახება პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული და შეფასებული შეფასების ინსტრუმენტი. ხოლო თავის მხრივ პორტფოლიოები ინახება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში.

2) მიღებული შეფასების გასაჩივრება

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პერიოდული შეფასების შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საჩივრით მიმართოს პროფესიული განათლების დეპარტამენტს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა. პროტესტი შეიძლება წარდგენილ იქნას, როგორც სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე შეიძლება გაგზავნილ იქნას სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@mtc-anri.edu.ge. საჩივარი განიხილება მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აკადემიური პერსონალის/სპეციალისტის მიერ ან დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით კომისიური წესით. საჩივრის განხილველ კომისიაში უნდა შედიოდეს მიმართულების უფროსი, იმ სასწავლო კურსის ლექტორი, რომლის შეფასების გასაჩივრებაც მოხდა და პროფესიული განათლების დეპარტამენტიდან შესაბამისი დარგის სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიური წესით საჩივრის განხილვისას აგრეთვე მოიწვევა საჩივრის ავტორი პროფესიული სტუდენტი. იმ შემთხვევაში თუკი საჩივართან დაკავშირებით მიღებული იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

- ✓ სტუდენტს შეუფერხებლად მიეცემა ნაშრომის (ოქმის) დედანში გაცნობის უფლება;
- ✓ პროტესტში უნდა მიეთითოს კონკრეტულად, თუ შედეგის რა ნაწილს აპროტესტებს სტუდენტი. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- ✓ პროტესტი, ისევე, როგორც საკუთრივ ნაშრომი (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსს/სასწავლო კურსის განმახორციელებელს გადაეცემა დაშიფრული სახით.
- ✓ საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა, საჩივრის განხილვა ხდება დეპარტამენტის უფროსის მიერ შესაბამისი მოდულის განმახორციელებელთან ერთად. მოდულის განმახორციელებლის მოწვევა არ არის საჭირო, თუ შეცდომა მდგომარეობს ცალკეული



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

კომპონენტების შეფასებათა დაჯამებაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, მოხდება შეფასების გასწორება.


17. კვალიფიკაციის მინიჭების წესი და დიპლომის გაცემა

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პრეროგატივას.

- 1) პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა სრულად უნდა დააგროვოს შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
- 2) კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
 - ა) პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
 - გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
 - დ) პროგრამაში მონაწილე სპეციალისტების პროფესიული მასწავლებელი.
- 3) საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებული აქვთ შესაბამისი დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები.
- 4) გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, საკვალიფიკაციო კომისიის ინფორმაციის საფუძველზე, ღებულობს შპს ბუსსს ანრის სენატი, რის საფუძველზეც, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით შპს ბუსსს ანრის რექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული დიპლომის შესაბამისი დანართით გაცემის თაობაზე.
- 5) გაცემული დიპლომების შესახებ მონაცემები გადაიგზავნება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, ხოლო დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება სასწავლებელში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.
- 6) გასაცემი პროფესიული დიპლომის ფორმა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისი, ბრძანება N99/ნ პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - პროფესიული დიპლომისა დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ.
- 7) ბუსსს ანრის დიპლომების დასამზადებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ლოგიკა“-სთან, რომელიც ამზადებს დიპლომებს ყველა კრიტერიუმის სრული დაცვით.

18. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგის მიღების წესი

- 1) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგისადმი წაყენებული კრიტერიუმები:
 - ა) პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს კვალიფიციური, უმაღლესი განათლებით ან მასთან გათანაბრებული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი.
 - ბ) პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
 - გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
 - დ) ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება;
 - ე) კომუნიკაბელობა და აზრის გამართულად გადმოცემის უნარი.
- 2) პროფესიული განათლების პედაგოგის შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის წესით;
- 3) პროფესიული განათლების პედაგოგის მიღება ხდება სასწავლებლის გენერალური დირექტორის ბრძანებით.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

19. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების

მეთოდისა

- 1) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიულ სტუდენტათვის იმართება სასწავლო პროცესი.
- 2) თუკი სასწავლო პროცესში ჩნდება საჭიროება პროფესიულ სტუდენტათვის ინდივიდუალურად დაზუსტდეს სასწავლო მიზნები და შედეგები, მაშინ პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი და პროფესიული მასწავლებელი სტუდენტთან შეთანხმებით ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.
- 3) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება თითოეული პროფესიული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს დაზუსტებას კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტათვის. იგი იქმნება როგორც ცალკეული მოდულისათვის, ასევე იმდენი მოდულისათვის, რამდენსაც შეისწავლის პროფესიული სტუდენტი.
- 4) იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის ადაპტაციამ პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესში მხარდამჭერი ფუნქცია შეასრულოს- გადამწყვეტია:
- 5) პროფესიულმა მასწავლებელმა სრულფასოვანი სურათი შექმნას სტუდენტის არსებული მიღწევების შესახებ და ამისათვის უწყვეტად აწარმოოს მისი შეფასების პროცესი;
- 6) პროფესიული მასწავლებელი დეტალურად უნდა აფასებდეს პროფესიული სტუდენტის შესრულების დონის თითოეულ სასწავლო შედეგთან და მოდულთან მიმართებით, არ უნდა გამოეპაროს სტუდენტის წინ წამოჭრილი ბარიერები, ან თუნდაც ძალიან მცირე მიღწევა და წინსვლის დინამიკა. არგუმენტირებულად განსაზღვრავს საჭირო ცვლილებებს.
- 7) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და დეტალების დაზუსტების მიზნით იკრიბება ჯგუფი პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის; ხარისხის სამსახურის სპეციალისტისა და პროფესიული მოდულის/მოდულების მასწავლებლების შემადგენლობით და მსჯელობან შემდეგ საკითხებზე:
 - ? რა დამატებითი ცვლილებებია საჭირო პროფესიულ მოდულებში?
 - ? რას გააუმჯობესებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?
 - ? რა ტიპის პროგრესის დემონსტრირებას შეძლებს სტუდენტი?
 - ? რა დროში და რომელ სასწავლო შედეგს მიაღწევს ან/და მიუახლოვდება სტუდენტი?
 - ? რა დამატებითი რესურსის გამოძებნაა საჭირო შრდების მისაღწევად?
 - ? რამდენად ადეკვატური იქნება მიღწეული სასწავლო შედეგი/შედეგები დასაქმებისათვის?
- ჯგუფი იკრიბება სულ ცოტა 4-ჯერ მაინც.
- 8) პირველი შეხვედრა რეკომენდირებულია განხორციელდეს სწავლის დაწყებამდე, რათა ყველა იმ პროფესიულმა მასწავლებელმა, რომელიც ჩაერთვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესში, უნდა იცოდეს მისი შესაძლებლობებისა და საჭიროების შესახებ;
- 9) მომდევნო ორი შეხვედრა გაიმართება სწავლების პროცესში, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვა სტუდენტის მიერ სასწავლო შედეგის/შედეგების მიღწევის მიზნით. თითოეული მოდულის პროფესიული მასწავლებელი ჯგუფს წარუდგენს სტუდენტის მიღწევების ანგარიშს.
- 10) საბოლოო შეხვედრა სწავლების დასრულებისას იმართება, რომელზეც უნდა განისაზღვროს : სრულდება თუ არა სასწავლო პროცესი; საჭიროებს პროფესიული სტუდენტი სწავლის გახანგრძლივებას დამატებითი სტაჟირებით; რა აქტივობებია დასაგეგმი დასაქმების ხელშეწყობისათვის.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

- 11) სასწავლებლის სპეციფიკიდან და „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნებიდან („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) გამომდინარე პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის შეუძლებელია.
- 12) სსსმ/შშმ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია მხოლოდ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ზოგად სავალდებულო და ზოგად არჩევით მოდულებზე. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის იგი შეადგენს 20 კრედის, ხოლო იმ პირთათვის ვისაც არ დაუდასრურდებათ ქართული ენის A2 დონე შეადგენს 35 კრედიტს. მათი ათვისების შემთხვევაში სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

20. პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების შერჩვისა და დასაბუთების მეთოდოლოგია

დოკუმენტის შექმნის მიზანია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მიერ პროფესიული პროგრამის შერჩვისა და დასაბუთების მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება.

პროფესიული პროგრამის შერჩვისა და დასაბუთების პროცედურა.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მიერ, მისიითა და სტრატეგიული გეგმით წინასწარ განსაზღვრულია საზღვაო მიმართულების შესაბამისი პროგრამების განხორციელება. აქედან გამომდინარე კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების III დონის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შერჩევა ხდება შემდეგის გათვალისწინებით:

- ✓ სასწავლებლის სპეციფიკა;
- ✓ ადამიანური რესურსები;
- ✓ დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ✓ შპს ბუსსს ანრის კუთვნილებაში არსებული მატერიალური რესურსი და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობი;
- ✓ საცურაო პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები;
- ✓ სიმულატორები


მე-III დონის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების შერჩევას საფუძვლად უდევს:

- ✓ მე-III დონის გემბანის რიგირთი მეზღვაური, სამანქანე განყოფილების რიგირთი მეზღვაური საგნობრივი პროგრამების განხორციელების გაუქმება;
- ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- ✓ STCW საერთაშორისო საზღვაო კონვენცია;
- ✓ შპს ბუსსს ანრის რეესტრის მონაცემები

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ III დონე. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს:

STCW საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დამწყები მეზღვაური ვალდებულია გაიაროს სერტიფიცირება საწვრთნელ ცენტრში და მიიღოს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში გემზე მუშაობის ლიცენზია (ე.წ. სამუშაო დიპლომი), რაც გვადლევს საშუალებას ვაწარმოოთ მონიტორინგი კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმების შესახებ, რომლის მაჩვენებელიც 80-86 % შეადგენს.

პროგრამის განხორციელების მიდგომები მოდულიური პროგრამის შემთხვევაში, ფიქსირდება კონკრეტული პროგრამების, როგორცაა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

განყოფილების ექსპლუატაცია“ , მოდულები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსი, სასწავლო რესურსი.

21. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უზრუნველყოფისა და გახარჯული მასალების აღრიცხვის მექანიზმი

- 1) მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უზრუნველყოფისა და სრულყოფილად წარმართვის მიზნით, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის სახელზე სასწავლო-საწარმოო და საცურაო პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ უნდა მომზადდეს მოხსენებითი ბარათი, თითოეულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებში (მოდულის გათვალისწინებით) პედაგოგებთან შეთანხმებით, სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით;
- 2) პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გენერალური დირექტორის განკარგულებით სამეურნეო განყოფილების უფროსი თითოეულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებში (მოდულის გათვალისწინებით) განხორციელებს სახარჯი მასალების შესყიდვას;
- 3) მეორე პუნქტით გათვალისწინებული სახარჯი მასალების (საქონლის) მიღება უნდა განხორციელდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, რის შემდეგაც მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცემათ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებში (მოდულის გათვალისწინებით) პედაგოგებს;
- 4) მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებში (მოდულის გათვალისწინებით) სახარჯი მასალების ხარჯვის კონტროლი განხორციელდეს სასწავლო-საწარმოო და საცურაო პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- 5) მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებში (მოდულის გათვალისწინებით) სახარჯი მასალების ჩამოწერა განხორციელდეს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პედაგოგების მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე მუდმივმომქმედი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ.


22. რესურსები

არსებული პროცედურის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია შემდეგი რესურსები:

- 1) შპს ბუსსს ანრის ნორმატიული დოკუმენტები;
- 2) შპს ბუსსს ანრის კვალიფიცირებული პერსონალი
- 3) საქმისწარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა, ტექნიკა, საკანცელარიო ნივთები და ა.შ.
- 4) სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტები;
- 5) ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალი;
- 6) მატერიალური რესურსები: სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, საბეჭდი ქაღალდი, სამუშაო ადგილი, სასწავლო ლაბორატორია, კომპიუტერული და მამრავლი ტექნიკა
- 7) მატერიალური, საბიბლიოთეკო რესურსები
- 8) საინფორმაციო ტექნოლოგიები
- 9) საგამოცდო ტესტები და სხვა გამოცდისთვის საჭირო მასალა

23. კონფიდენციალურობა

წინამდებარე დებულება წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process**

დანართი 1

მგ-2- №028-08-03.01.12

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება

ქ.ბათუმი _____ 202_ წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს რექტორის რუსლან დიასამიძის სახით (შემდგომში „საზღვაო სასწავლებელი“) და მეორე მხრივ, საზღვაო სასწავლებლის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის **მე-III დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გასაუბრების საფუძველზე** ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი: ს/გ-----
----- პ/ნ _____ (შემდგომში „სტუდენტი“)

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონებით: “პროფესიული განათლების შესახებ”, განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებითა და საზღვაო სასწავლებლის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შევთანხმდით შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი


1. წინამდებარე ხელშეკრულებით სტუდენტი უფლებამოსილია, სრულად და ჯეროვნად მიიღოს საზღვაო სასწავლებლისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს საზღვაო სასწავლებელს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური (შემდგომში “საგანმანათლებლო მომსახურების საფასური” ან “სწავლის საფასური”) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით, ხოლო საზღვაო სასწავლებელი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, სრულად და ჯეროვნად გაუწიოს სტუდენტს საგანმანათლებლო მომსახურება და მოსთხოვოს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის და მიიღებს დიპლომს „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანების შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 საზღვაო სასწავლებელი ვალდებულია:

- 1) შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- 2) შექმნას ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საგნებში მეცადინეობების მაღალკადემიურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად;
- 3) განახორციელოს სტუდენტის მომზადება და მისი ცოდნის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- 4) შეუქმნას სტუდენტს კეთილმოსურნეობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


- 5) უზრუნველყოს სტუდენტები სასწავლო-საწარმოო და საცურაო პრაქტიკებით პრაქტიკის გავლის პროცედურით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად;
- 6) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა, სასწავლო გემი, სწრაფმავალი კატარა, ტრენაჟერული დანადგარები, სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიები და სამქროები და სხვ.);
- 7) უზრუნველყოს სტუდენტის ხელმისაწვდომობა მისთვის საჭირო ნორმატიულ დოკუმენტებზე (საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, შეფასების სისტემა, საზღვაო სასწავლებლის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულება და სხვა). ამ მიზნით აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსდება საზღვაო სასწავლებლის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილებზე და ფაკულტეტზე;
- 8) უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია სტუდენტის დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური, გენდერული სოციალური და სხვა მოტივებით;
- 9) უზრუნველყოს საზღვაო სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, დამატებითი მეცადინეობების ჩატარება იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც ვერ აითვისეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები;
- 10) უზრუნველყოს სტუდენტი კვალიფიკაციისა და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ.

3.2 საზღვაო სასწავლებელს უფლება აქვს:

- 1) გამოიყენოს სტუდენტის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმები წესდების საფუძველზე;
- 2) გამოიყენოს სტუდენტის დისციპლინური დევნის სხვადასხვა ფორმები საზღვაო სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
- 3) შეუწყვიტოს ან შეუჩეროს სტუდენტს სტატუსი საზღვაო სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულების მოთხოვნების არაერთგზის ან/და უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;
- 4) შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი იმ სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისას ვერ დააგროვეს საჭირო კრედიტები, საზღვაო სასწავლებლის წესდებით, შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებში.

3.3 სტუდენტი ვალდებულია:

- 1) გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია სემესტრის დაწყებამდე საზღვაო სასწავლებლის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში;
- 2) გაეცნოს, გაიზიაროს და შეასრულოს საზღვაო სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესის, მისიისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დაემორჩილოს საზღვაო სასწავლებლის გენერალური დირექტორი/რექტორის, სასწავლო დარგში პრორექტორის და სასწავლო განყოფილების-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფროსის განკარგულებებს/ბრძანებებს;
- 3) მოემზადოს პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობებისათვის, დაიცვას საზღვაო სასწავლებლის ღირსება, გაუფრთხილდეს საზღვაო სასწავლებლის ქონებას;
- 4) გადაიხადოს სწავლის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად;
- 5) შეიძინოს და ატაროს საზღვაო სასწავლებლის დადგენილი წესით მიღებული უნიფორმა;
- 6) აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამით ნორმირებული და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი კრედიტების რაოდენობა;
- 7) გადაიხადოს დამატებითი საფასური (კრედიტების პროპორციულად) აუთვისებელი კრედიტების განმეორებით შესწავლის შემთხვევაში.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process


- 8) თეორიული და პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ სერტიფიცირების კურსები გაიაროს შპს ბუსსს ანრის წვრთნისა და ცერტიფიცირების ცენტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე პროფესიული დიპლომი არ გაიცემა.

3.4 სტუდენტს უფლება აქვს:

- 1.) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
- 2.) სასწავლებლის მიერ დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 3.) გაწვერიანდეს სტუდენტურ გაერთიანებებში/საინიციატივო ჯგუფებში, რომლებიც სასწავლებელში სტუდენტთა უფლებების დაცვისა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თანამშრომლობენ პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებასთან და ახდენენ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხების ინიცირებას;
- 4.) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- 5.) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- 6.) საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლებლის რეგულაციებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 7.) საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლებლის წესდებისა და სასწავლებლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, სასწავლებლისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- 8.) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- 9.) სასწავლებლის რეგულაციების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და სკოლის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;
- 10) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- 11.) უზრუნველყოფილი იყოს სასწავლებლის მიერ მისი ცოდნის სამართლიანი შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- 12.) გამოიყენოს სასწავლებლის შიდა გასაჩივრების ინსტრუმენტი, საკუთარი უფლებების დასაცავად.
- 13.) სასამართლოში გაასაჩივროს სასწავლებლის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
- 14.) განახორციელოს სასწავლებლის სხვა რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
- 15.) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საზღვაო სასწავლებლის საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 16.) მოითხოვოს იმ კურსებისა და მოდულების თავიდან გავლა, რომლებშიც ვერ დააგროვა საჭირო კრედიტები, საზღვაო სასწავლებლის წესდების, შინაგანაწესისა და საზღვაო სასწავლებელში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

4 საგანმანათლებლო პროცესზე დაშვება და ფინანსური ურთიერთობები

- 1) სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესზე დაშვების აუცილებელი პირობაა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლა, რომელიც წარმოებს ყოველი სემესტრის დაწყებამდე საზღვაო სასწავლებლის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში;
- 2) სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის გასაველად აუცილებელი პირობაა სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარის წარდგენა საფინანსო საბუღალტრო სამსახურში;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

- 3) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად სტუდენტი საზღვაო სასწავლებელს გადაუხდის _____ (_____) ლარს;
- 4) სწავლის წლიური საფასური ჩარიცხულ უნდა იქნას საზღვაო სასწავლებლის საბანკო ანგარიშზე ორ ეტაპად:
 - ა) სწავლის წლიური საფასურის 50% საშემოდგომო სემესტრის დაწყებამდე;
 - ბ) სწავლის წლიური საფასურის 50% საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე;
- 5) სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს გადახდის მოქნილი გრაფიკით, რის შესახებაც დგება შეთანხმება საზღვაო სასწავლებელსა და სტუდენტს შორის.
- 6) საზღვაო სასწავლებლის სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით ნორმირებული კრედიტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულია ყოველი სასწავლო სემესტრის შემდეგ დავალიანებული კურსის ან მოდულის განმეორებით გავლისას გადაიხადოს გადასახადი შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული წესით;
- 7) სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურად შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;
- 8) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 1 თვის გასვლის შემდეგ უარს განაცხადებს სწავლაზე, გადახდილი თანხა უკან აღარ დაუბრუნდება.

5 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

- 1) ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ხანგრძლივობით;
- 2) თუ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სწავლის წარმატებით დასრულება, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისებას და სწავლის დასრულებისათვის საჭიროებს დამატებით დროს, მხარეებმა უნდა გააფორმონ ახალი ხელშეკრულება;
- 3) ახალი ხელშეკრულების შედგენის ან მისი განახლების შემთხვევაში საზღვაო სასწავლებელი იტოვებს სწავლის საფასურში კორექტივების შეტანის უფლებას $\pm 20\%$ -ის ოდენობით;
- 4) თუ სტუდენტს შეუჩერდა ან შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში საზღვაო სასწავლებელი უფლებამოსილია გააფორმოს მასთან ახალი ხელშეკრულება;
- 5) სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს საზღვაო სასწავლებლის რექტორს;
- 6) საზღვაო სასწავლებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) სტუდენტის მიერ შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაერთგზის ან/და უხეში დარღვევა;
 - ბ) სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობა წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად;
 - გ) საზღვაო სასწავლებლის ლიკვიდაცია ან/და რეორგანიზაცია;
- 7) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს სწავლის გადახდილი საფასური დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ ის იძულებული იქნება შეწყვიტოს სწავლა მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების - ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებისა და უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების შემთხვევაში - სწავლის სემესტრის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლამდე, ხოლო გარდაცვალებისას - სწავლის სემესტრის დადგენილი ხანგრძლივობის 2/3-ის გასვლამდე (თანხა უბრუნდება გარდაცვლილი სტუდენტის მემკვიდრეს).



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process**

მუხლი 6. კონფიდენციალურობა

- 1) სასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას უფლება აქვს დაამუშაოს სტუდენტის პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- 2) სტუდენტი თანახმაა ინფორმაცია მის შესახებ (ვინაობა, ფოტოსურათი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა, კურსი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი და სხვა) სასწავლებელმა განათავსოს სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მისი პირადი ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენისას;
- 3) ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სტუდენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სასწავლებლის ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ.

7. დასკვნითი დებულებები

- 1) ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
- 2) საზღვაო სასწავლებლის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და დიციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულება შეადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით სტუდენტი ადასტურებს რომ გაეცნო ზემოთჩამოთვლილ ნორმატიულ მასალას და აღიარებს მათ;
- 3) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების ცალკეული პუნქტები;
- 4) მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა შეიძლება გადაწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ.

7. მხარეების მონაცემები და ხელმოწერები

**შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი ანრი**

იურიდიული მისამართი : ქ. ბათუმი შ. ინასარიძის ქ №29
საინ. კოდი: 245 539 403
ბანკი: საქართველოს ბანკი
ბ/კ : BAGAGE22
ა/ნ : GE56BG000000117479800
მობ: 555655568; 571161624
E-mail: info@mtc-anri.edu.ge

რექტორი

რუსლან დიასამიძე _____
(ხელმოწერა, ბ.ა.)

პროფესიული სტუდენტი

პირადობის მოწმობის N _____

პირადი N _____

მობ: _____

ტელ: _____


(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის
კანონიერი მშობლის, ან მეურვის სახელი, გვარი

პირადობის მოწმობის № _____

ხელმოწერა _____



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

დანართი 2

მფ-02-№192-08-11.04.19

კითხვარი პროფესიული სტუდენტებისათვის

1. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროფესიული მოდულური პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

2. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროფესიული მოდულური პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

3. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროფესიულ მოდულურ პროგრამაში არსებული მოდულებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

4. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესიული მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე?

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

6. უმეტესად, რა გზით დებულობთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას? (პასუხების რაოდენობა შეზღუდული არ არის)

6.1. დაწესებულების ვებ-გვერდი

6.2. მეგობრები

6.3. პროფესორ-მასწავლებელი

6.4. ადმინისტრაცია


6.5. სხვა (ჩაწერეთ) _____

7. გთავაზობთ თუ არა სასწავლებელი დამატებით მომსახურებას (სპორტი და სხვ)?

1. დიახ

2. იშვიათად

3. არა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

8. დებულებით თუ არა საჭირო კონსულტაციას პროფესიული მასწავლებლისგან?

1. დიახ

2. იშვიათად

3. არა

9. ზოგადად, რამდენად გაკმაყოფილებით პროფესიული მასწავლებლის კვალიფიკაცია?

1. მაკმაყოფილებს

2. ნაწილობრივ

3. არ მაკმაყოფილებს

10. რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ?

1. შეესაბამება

2. ნაწილობრივ

3. არ შეესაბამება

11. რამდენად ხშირად მიმართავთ ბიბლიოთეკას?

1. ხშირად

2. იშვიათად

3. არ მივმართავ

12. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის ელ. რესურსები (კომპიუტერი, ინტერნეტი, ელ. ლიტერატურა)

1. დიახ

2. მხოლოდ ნაწილობრივ

3. არა

13. რამდენად ხშირად იღებთ დახმარებას ადმინისტრაციული პერსონალისაგან?

1. სისტემატიურად


2. იშვიათად

3. არასდროს

14. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს სასწავლებელში სასწავლო პროცესის დასახვეწად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

დეპარტამენტი _____ სპეციალობა _____ კურსი _____

გმადლობთ!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
 სასწავლო პროცესის მართვის დებულება
 Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

დანართი 3

მფ-02-№192-08-11.04.19

პროფესიული ლექტორის და სასწავლო კურსის შეფასების ფორმა

სასწავლო კურსის დასახელება -----

პროფესიული მასწავლებელი -----

ამ გამოკითხვის მიზანია თქვენი პროფესიული მასწავლებლისა და მისი მოდულის შეფასება. გთხოვთ თითოეული კითხვა შეაფასოთ 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1-ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები 2-არ ვეთანხმები 3-ნეიტრალური პოზიცია 4-ვეთანხმები 5-სრულიად ვეთანხმები კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა წერილობით შეაფასოთ თქვენი პროფესიული ასწავლებელი და მისი მოდულები. გამოკითხვა ანონიმურია და პროფესიული ასწავლებელი მოდულის დასრულებამდე ვერ გაეცნობა გამოკითხვის შედეგებს. გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულწრფელი. თქვენი პასუხები დაგვეხმარება სამომავლოდ გავაუმჯობესოთ პროგრამა. **არ მიუთითოთ თქვენი ვინაობა!**

1. გაცნობთ თუ არა პროფესიული მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოდულის მიზნებს ამოცანებს და ცოდნის შეფასების სისტემას (მოდულის)?

1 2 3 4 5

2. პროფესიული მასწავლებელი ყოველთვის დროზე მოდის ლექციებზე და დათქმულ შეხვედრებზე

1 2 3 4 5

3. პროფესიული მასწავლებელი კარგადაა მომზადებული თითოეული ლექციისთვის

1 2 3 4 5

4. პროფესიული მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად

1 2 3 4 5

5. პროფესიული მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის მასალას.


1 2 3 4 5

6. გაკმაყოფილებთ თუ არა პროფესიული მასწავლებლის ლექსიკა სალექციო მასალის გადაცემისას?

1 2 3 4 5

7. პროფესიული მასწავლებელი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად და გასაგებად

1 2 3 4 5



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

8. პროფესიული მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს ესმით სასწავლო კურსის ძირითადი იდეები

1 2 3 4 5

9. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში

1 2 3 4 5

10. პროფესიული მასწავლებელი უბიძგებს პროფესიულ სტუდენტებს, რომ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად

1 2 3 4 5

11. პროფესიული მასწავლებელი მზადაა კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან

1 2 3 4 5

12. პროფესიულმა სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ ლექციისგან, პროფესიული მასწავლებელი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს

1 2 3 4 5

13. პროფესიული მასწავლებლის მიერ დასახელებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება მოდულს

1 2 3 4 5

14. დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებს

1 2 3 4 5

15. მოდულის განხორციელების ხარისხს ვაფასებ როგორც


1. ძალიან კარგი 2. კარგი 3. საშუალო 4. ცუდი 5. ძალიან ცუდი

17. რა თვისებების გამო მიგაჩნიათ თქვენი პროფესიული მასწავლებელი კარგ მასწავლებლად? -----

18. რა არ მოგწონთ თქვენს პროფესიულ მასწავლებელში? -----

თარიღი -----

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
 სასწავლო პროცესის მართვის დებულება
 Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

დანართი 4

მგ-02-N068-08-03.11.12



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული განათლების დეპარტამენტის
 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლების მიერ
 ჩატარებული ლექციის შეფასების კითხვარი


დეპარტამენტი:			
მოდულის დასახელება:			
თემის დასახელება:			
შესაფასებელი პროფესიული მასწავლებელი:			
შემფასებელი:			
თარიღი/დრო:			
კორპუსი/აუდიტორია:			
სტუდენტების რაოდენობა:	სულ:	ესწრებოდა:	
	დაიწყო მეცადინეობა დანიშნულ დროს?	კი	არა
	ცვლის სხვა პროფესიული მასწავლებელი?	კი	არა
	ტარდება ლექცია გეგმის მიხედვით, მოდულში მითითებულ თემაზე?	კი	არა

შეაფასეთ პედაგოგის მონაცემები თითოეულ ფაქტორთან მიმართებაში ქვემოთ მოცემული სკალით:

	მნიშვნელობა
0	არ არის კომპეტენტური
1	სუსტი - კომპეტენტურობა აშკარად განვითარებულია
2	ზღვრული - ნაკლებად განვითარებულია
3	კარგი - მისაღებ დონეზეა განვითარებული
4	შესანიშნავი - გამოკვეთილად ძლიერ დონეზეა განვითარებული
N/E ¹	გამოიყენეთ ეს აღნიშვნა, როდესაც კომპეტენტურობის შესაფასებლად ინფორმაცია არასაკმარისია

შემოხაზეთ შესაბამისი უჯრა

კომპეტენტურობა (ფაქტორი)	შეფასება					
საუბრობს გასაგებად და გამართულად	0	1	2	3	4	N/E
აწვდის შესაბამის ინფორმაციას, არსებულ შეხედულებებსა და არგუმენტებს. ნათლად გამოყოფს საკვანძო საკითხებს	0	1	2	3	4	N/E
ლექციას წარმართავს თავდაჯერებულად	0	1	2	3	4	N/E



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**


Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

ამღევს პროფესიულ სტუდენტებს აქტიურობის საშუალებას	0	1	2	3	4	N/E
აუდიტორიის მოთხოვნებზე, რეაქციასა და უკუკავშირზე სწრაფად და სწორად რეაგირებს	0	1	2	3	4	N/E
პროფესიულ სტუდენტების შეკითხვებზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხებს	0	1	2	3	4	N/E
ლექციის პროცესში იყენებს ვიზუალურ საშუალებებს (სლაიდებს, თვალსაჩინოებებს, ვიზუალურ დანართებს, დაფას და სხვ.)	0	1	2	3	4	N/E
საპრეზენტაციო მასალა (სლაიდი, ნახაზი, ფორმულა ან სხვა რაიმე ვიზუალური თვალსაჩინოება) შედგენილია სწორად, ლაკონურად და პროფესიული სტუდენტებისათვის გასაგებად	0	1	2	3	4	N/E
სალექციო დროს ანაწილებს რაციონალურად	0	1	2	3	4	N/E
ზრუნავს საკუთარ იერზე	0	1	2	3	4	N/E
იცავს ეთიკურ ნორმებს	0	1	2	3	4	N/E

კომენტარი/ დასკვნა :

შემფასებლის ხელწერა -----

პროფესიული მასწავლებლის ხელწერა -----




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

24. პროცედურის პერიოდული შემოწმების ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process

25.პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	თამთა ჩხეიძე	სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების საქმისმწარმოებელი	27.04.2021		
2	სოფიკო მამულაძე	მთავარი ბუღალტერი	27.04.2021		
3	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	27.04.2021		
4	ლონდა მიქელაძე	საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საქმისმწარმოებელი	27.04.2021		
5	დავით ჩხაიძე	სასწავლო სამკროებისა და სახელოსნოების უფროსი	27.04.2021		
6	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის უფროსი	27.04.2021		
7	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო განყოფილების უფროსი	27.04.2021		
8	სალომე ზაქარაძე	ადამიანური რესურსების სპეციალისტი	27.04.2021		
9	ირაკლი ბეჟინიძე	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	27.04.2021		
10	ილია ნიქაბაძე	პიარ-მენეჯერი	27.04.2021		
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process**

26. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

**პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება
Regulation for Managing the Vocational Modular Educational Process**

ნდ № 2-010136

1.2 პროცედურის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი მაია დავითიანი
განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

_____ \ _____ \

_____ \ _____ \

ნაწილი 2. შეთანხმება

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	პრორექტორი გურამ ქათამაძე				
2	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე				
3	სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი ნათია დიასამიძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ გვარი, სახელი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____